

8 აგვისტოს მიეძღვნა



ამა წლის 8 აგვისტოს, დაბა ასპინძის კულტურისა და დასვენების პარკში ასპინძის მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა, მოსახლეობასთან ერთად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა მემორიალი ყვავილებით შეამკეს

და ომში დაღუპულ გმირების ხსოვნას წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს. გარდაცვლილთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა ასპინძის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მღვდელ-მსახურმა მამა ზაქარიამ. პანაშვილის დასრულების შემდეგ ვაჟთა ფოლკლორულმა ანსამბლმა „წუნდამ“ და ადგილობრივმა შემოქმედებითმა ჯგუფებმა დაღუპული გმირების ხსოვნის პატივსაცემად ლონისძიება გამართეს. ასპინძის მუნიციპალიტეტის 2020 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის მიზნობრივი ხარჯის – „მოქალაქეთა სოციალური და ჯანდაცვის პროგრამის“ ფარგლებში ერთჯერადი ფულადი დახმარება გადაეცაოთ საქართველოს მთლიანობისათვის დაღუპულთა 8 ოჯახს – 400-400 ლარი და ომისა და სამხედრო ძალების, შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე 9 ვეტერანს – 300-300 ლარი, ლონისძიებაში მონაწილეებმა სანთლებით სიმბოლურად საქართველოს რუკა გამოსახეს და ჰაერში ფრანები გაუშვეს.

12 წელი აგვისტოს ომიდან

8 აგვისტოს ასპინძის მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ დავით პაპაშვილმა და მოადგილემ ლევან ბერიძემ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ მირაშხანში, 2008 წლის 8 აგვისტოს საქართველოს თავისუფლებისათვის შეწირული გმირი ტარიელ ქაშიშვიძე გაიხსენეს და მისი სახელობის მემორიალი ყვავილებით შეამკეს.



მიმდინაეობს მახცველის მოსავლის აღება

ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მარცვლეულის კულტურების აღება დასასრულს უახლოვდება. ტრადიციულად, როგორც ყოველთვის, ალოობა სოფელ რუსთავიდან, 20 ივლისს დაიწყო. დღეისათვის აღებულია 544 ჰექტარი (1232 ტონა) ქერისა და 315 ჰექტარი (798 ტონა) ხორბლის ნათესები. საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა ქერის შემთხვევაში 2,2 ტონას შეადგენს, ხოლო ხორბლის – 2,5 ტონას. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სულ დათესილი იყო 571 ჰექტარი ქერი და 358 ჰექტარი ხორბლი. რომლის აღება-დაბინავებამ მუშაობდა 10 ერთეული ტექნიკა (კომბაინი).

მათ შორის კერძო მფლობელობაში არსებული 8 ერთეული და შპს „მექანიზატორის“ 2 ერთეული კომბაინი. მოსავლის აღება მოხდა დროულად, ეტაპობრივად ზონების მიხედვით და უდინაკარგოდ. ამჟამად მოსავლის აღება მიმდინარეობს ნიალის ზონასა და ადგილმდებარე კვარშას ნათეს ფართობებზე, რომელიც უახლოეს პერიოდში დასრულდება.

ოლღა პერიძე-ველიჯანაშვილი,
ასპინძის საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრის წამყვანი სპეციალისტი

ვახგავში ხაჩი საქმე გაეუთდა



მთელ რაიონში სასმელი წყლის პრობლემით ოდითგან სოფელი ვარგაი რომ „გამორჩევა“, ეს თითოეული ასპინძელისათვის კარგადაა ცნობილი, რამაც თავის დროზე ხელი შეუწყო სოფლიდან მოსახლეობის აქტიურ მიგრაციას და დღეს ეს სოფელი, ფაქტურად, გაუქმების პირასაა მისული. ალბათ, ჯერ კიდევ არის იმედი ნავსი განყდეს და მოსახლეობამ მცირედით მიიწვინოს სოფლისკენ შე-

მობრუნება, რასაც ხელი უნდა შეუწყოს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ გააქტიურებამ. სწორედ ამ პროგრამის ფარგლებში აქ, ვარგაიში, სასმელი წყლის სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობდა და ამ დროისთვის, სათავე ნაგებობის პარალელურად, ყველა სამუშაო დასრულდა. იმედია, ამ პროგრამის ფარგლებში, მომავალში, ვარგაიელები კიდევ ბევრი სასიკეთო საქმის მომსრენი გახდებიან.

ლაშხევი იერსახეს იცვლის

როგორც ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ვიუწყებოდით, მუნიციპალიტეტის მერიის დახმარებით ახლახან სოფელ იდუმალაში მთლიანად იქნა რეაბილიტირებული ე.წ. ლაშხევის მიმდებარე, მთავარ საავტომობილო გზასთან დამაკავშირებელი ხიდი და სოფლის მოსახლეობის დიდი კმაყოფილება გამოიწვია, თუმცა საგზაო ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარების ტემპი ამით არ შენელებულა და აქტიურად გრძელდება სოფელ იდუმალის აღნიშნულ დასახლებაში დღემდე უმძიმეს მდგომარეობაში არსებული შიდა გზის სრული რეაბილიტაცია.

ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიამ გაითვალისწინა რა მოსახლეობის თხოვნა, ოპერატიულად გამოძებნა საშუალება და გამოყო შესაბამისი ასიგნებანი ამ პრობლემის საბოლოოდ გადაწყვეტისათვის. შედეგი სახეზეა: უახლოეს დღეებში სოფლის ამ დასახლების მაცხოვრებლებს სრულიად მონესრიგებულ-მოსაფლტებული ექნება ეს უბანი, რაც სახელმწიფო ზრუნვის აშკარა გამოხატულებაა.

სამუშაოები რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით ფინანსდება.



უსაფრთხოების გარანტი იქნება



სოფელი მითაა მდიდარი. ალბათ, მუნიციპალიტეტში არ მოიძებნება ისეთი სოფელი, რომელსაც, მეცხოველეობის განვითარების მიზნით, არ ჰქონდეს საკუთარი საზაფხულო საძოვრები, სათიბი ფართობები, რომელთა მოვლა-პატრონობაზე დამოკიდებული ნებისმიერი სოფლის განვითარება. სამწუხაროა, რომ ბოლო დროს მთას მოწყდა გლეხი კაცი და მხოლოდ საკუთარ სარჩო-საბაღებლისათვის ზრუნავს, მისი განვითარებისათვის კი – ნაკლებად. საბედნიეროდ, ამ მისას დღეს ახლადრამოყალიბებული ფერ-

მერული მეურნეობები ასრულებენ, მაგრამ მათ გვერდით გლეხი კაცის სიძლიერე ხომ უფრო მეტად ნაადვება საერთო ეროვნულ სიმდიდრეს – სოფლის მეურნეობას. სწორედ ამისათვის ზრუნავს მუნიციპალიტეტის მერია, რომ, უკანასკნელი პერიოდის სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის სალიკვიდაციოდ – სამანქანო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები ეწარმოებინა. ამ მიზნით აქტიურად დაიწყეს მთებში მისასვლელი გზების განმეწევა-შეკეთების სამუშაოები, რაც უსაფრთხოების გარანტი იქნება.

ორგორლებს ახალი სკოლა ექნებათ

როგორც ცნობილია, რამდენიმე წლის წინ სტიქიური უბედურების შედეგად სრულიად განადგურდა ორგორის საჯარო სკოლის შენობა და უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა სოფლის საგანმანათლებლო ქსელი. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს აქტიური მხარდაჭერით წლებულს დაიწყო და მომავალი წლის დასაწყისში დასრულდება სოფელში თანამედროვე სტანდარტების დონეზე საჯარო სკოლის მშენებლობა, რომლის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები, „კორონა ვირუსის“ პანდემიის მიუხედავად, მინც აქტიურად მიმდინარეობს.



ამ დღეებში მუნიციპალიტეტის მერმა როსტომ მაგრაქველიძემ და მერის მოადგილემ ლევან ბერიძემ მშენებლობის მიმდინარეობის პროცესს ადგილზე დაათვალიერეს, რომლის მშენებლობისათვისაც სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების

ფონდიდან 1174985 ლარია გამოყოფილი. ახალი სკოლა 60 მოსწავლეს გაათვლილი და მოემსახურება 2 სოფელს – საყუდაბელსა და ორგორას. სკოლაში საკლასო ოთახების გარდა გათვალისწინებულია კლას-ლაბორატორია, სამასწავლებლო, დირექციის, ბიბლიოთეკის, კომპიუტერების ოთახი და სველი ნერტილები, ასევე – ეზოს ტერიტორიისა და სპორტული მოედნის მოწყობა.

სკოლის არ არსებობის გამო ორივე სოფლის პედაგოგ-აღსაზრდელებს დიდი პრობლემები აქვთ შექმნილი, რაც მნიშვნელოვან დისკომფორტს უქმნიდა მოსახლეობას.

(გაგრძელება. დასაწყისი, ნინა ნომერში)

ჯვარიძეების ზევილიდან ჭობარეთში გადასვლა, საგარეოდ, უნდა მომხდარიყო 1842-1845 წლებში, ალექსი (ლილინა) და პავლე (ბადალა) ჯვარიძეებს ჭობარეთში არ უცხოვრიათ, ისინი ზევილი გარდაიცვალნენ და იქვე არიან დაკრძალულნი.

ალექსი (ლილინა) ჯვარიძეს ჰყოლია ექვსი ვაჟი: ივანე, ანდრია (მსახურობდა მთავარ დიაკვანად სოფელ ზევილში, დაკრძალულია ქ. ახალციხეში, რაბათის სასაფლაოზე, იგი და მისი რძალი ნატო სანდაძე მოხსენიებული ჰყავს ალექსანდრე ფრონელს (ყიფშიძეს) 1914 წელს გამოცემულ წიგნში „დიდებული მესხეთი“, ნიკო, ბესო, სტეფანე და მოსე. ჭობარეთში გადმოსახლდა ხუთი ვაჟი, ანდრია ჯვარიძე თავისი ოჯახით დარჩა ზევილში, მათი საცხოვრებელი სახლი თავდაპირველად მდებარეობდა სოფლის ეკლესიის ქვედა ნაწილში, დღევანდელი საავტომობილო გზის მიმდებარე, ხოლო შემდეგ, როცა ოჯახები გაიყარნენ, სხვა სახლები გაუშენებიათ.

ალექსის შვილიშვილები იყვნენ მარკოზი და ილო, მათ ჩამომავლებს მარკოზიენთ ეძახიან და ცხოვრობდნენ მარკოზიენთ უბანში; მარკოზის შვილები იყვნენ: სინო, ოქრო და სოლო, ხოლო ილოს ჰყავდა ერთი ვაჟიშვილი ვასილი, მარკოზიენთ ყოფილან ძალიან მშრომელი ხალხი, მუყაითობითა და გამჭრიახობით, მათ ხელში აღმოჩნდა სოფელ ჭობარეთში არსებული მიწების დიდი ნაწილი. ვინაიდან პურის დიდი მოსავალი მოჰყავდათ, ხოლო ჭობარეთში ნისქილები მხოლოდ გაზაფხულზე მუშაობდნენ, რადგან წყალი მცირე იყო, ამიტომ მარკოზი ჯვარიძემ გადაწყვიტა მათხებთი გაეკეთებინა წყლის ნისქილი. იგი შეუთანხმდა სოფელ ჭობარეთში მცხოვრებ ინსარიძეების და მამადიდების მოლიეენთ ოჯახებს, რომ დახმარებოდნენ და სოფელ ხეთის ბოლოდან, ოთხი კილომეტრის მანძილზე გაეყვანათ არხი და დაედგათ ნისქილები, რაზეც თანხმობაც მიუღიათ და დაუწყიათ არხის გაყვანა. მაშინ მათხებთის ტერიტორია წარმოადგენდა საძოვარს, რომელსაც სოფელ ხეთისა და ორციციის მოსახლეობა იყენებდა. არხის გაყვანაზე და ნისქილების ჩადგმაზე ისინი წინააღმდეგნი წავიდნენ და ხელს უშლიდნენ, ამიტომ ილო ჯვარიძის შვილი ვასილი და ინსარიძეები თოფებით იცავდნენ მშენებლებს. არხის ამოსავსებად როცა ქვევით შემოესეოდა ხეთის ხუყანი, ესენი თოფებით დაუხვდებოდნენ და ისინიც გაქცევით შევლოდნენ თავს. თათრები ახლა ღამით იწყებდნენ არხის ქვევით ამოკვებას, დღით კი ქართველები არხს ისევ ქვევითაგან სწმენდნენ, ამის გამო მარკოზის შვილი არხის წყალში დიდხანს დგომის გამო გაცივდა და გარდაიცვალა. მარკოზმა იფიქრა, ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, ჩავიდა ურაველში ადგილობრივ მმართველთან და დახმარება სთხოვა. დათქმულ დროს მმართველი მართლაც მისულა დღევანდელი მათხეთისა და ხეთის საზღვარზე, მასთან ერთად დაბარებული ხეთოელებიც და ორციციელებიც. მმართველმა მათ აუხსნა, რომ კეთილი საქმე კეთდებოდა, ამ ნისქილებით ისარგებლებდა ორივე სოფელი და აღარ მოუწევდათ ახლანდელი მუხსის ხიდთან არსებული ტაბიკაშვილების ნისქილებზე საფეკავის წაღება და გზასაც სამჯერ შეიმოკლებდნენ, მაგრამ ხეთოელებმა არ შეისმინეს მმართველის შეგონება და შეურაცხყოფაც კი მიაყენეს. ამის გამო მმართველი ძალიან გაბრაზებული და სადაც იდგა, იქიდან მათრახი გაუშვერია თურმე ყიშლებისკენ (საზამთრო საძოვრები) და უთქვამს: აქედან ეს

მინები გადაეცემა მარკოზიენთ და მათ მიმყოფ ოჯახებს, შემდეგ, მეორე მხარისკენ – მდინარისკენაც გაუშვერია მათრახი და დაუმატებია: ეს მინებიც ამათი იქნებაო. შემდეგ გაამოღებინა არეულობების მოთავეები და წასულა... ამის შემდეგ შესაბამისი საბუთიც მიიღეს მარკოზიენთმა. თათრებს წინააღმდეგობა ვეღარ გაუწევიათ და ასე გაუშენებიათ მათხებთში სამი ნისქილი, – ერთი მარკოზიენთ, ერთი ინსარიძეების და ერთიც მოლიეენთ, ხოლო საძოვრების გარდა სხვა მინები მარკოზიენთმა ბალებად აქციეს. მოგვიანებით, მათ ეს ბალები კოლმურნეობამ ჩამოართვა, დღეს კი სოფელ ჭობარეთის მოსახლეობაზეა განაწილებული.



ჯვარიძეების გენდის ისტორია

მარკოზიენი 1918-1921 წლებში მაჰმადიანთა აჯანყების პერიოდში არ დაზიანებულან, მათ არავინ არ შეხებია და არც არსად გახიზნულან. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, როგორც ყველგან, აქაც ჩამოყალიბდა კოლმურნეობა, შესაბამისად მარკოზიენი გააკულაკეს, ჩამოართვეს მთელი ქონება და „კოლხიზს“ გადასცეს. ვასილ ჯვარიძე ვერ შეეგუა მამულებისა და ქორიშების ჩამორთმევას, მისი გამოც იგი პროვოცირებას აჰყვდა და 1940 წელს თავისი შვილი თომა ჯვარიძე გაანეწრინა კონტრეკოლუციურ ორგანიზაციაში – „ახალგაზრდა მესხთა კავშირში“, რომელსაც ხელმძღვანელობდა მუსხელი პორფლე ოქრომელიძე. ვასილი მარკოზიენთ ხშირად უმტკიცებდა, რომ გერმანელები გაიმარჯვებდნენ და მათ მამულებს დაუბრუნებდნენ, ხოლო მის შვილს, რომელიც განათლებული იყო და მასწავლებლად მუშაობდა სოფელ ჭობარეთის საშუალო სკოლაში, დიდ თანამდებობას მისცემდნენ. უშიშროების სამსახურმა 1942 წელს დააპატიმრა აღნიშნული ორგანიზაციის ყველა წევრი, რომელთაგან ზოგი დახვრიტეს, ზოგი 10-10 წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს, ნაწილი გადაასახლეს, თომა ჯვარიძე კი ციხიდან აღარ დაბრუნებულა, – დახვრიტეს თუ ციხეში გარდაიცვალა, ცნობილი არ არის. მეორე მსოფლიო ომში გაიწვიეს და ომიდან აღარ დაბრუნებულა მარკოზის შვილისშვილი გოგი (გიორგი) ჯვარიძეც.

ალექსისის შვილი ანდრია ჯვარიძე მსახურობდა მთავარ დიაკვანად სოფელ ზევილში. იგი ყოფილა დიდად განათლებული პიროვნება, რომელიც ასევე მოხსენიებულია ალექსანდრე ფრონელის დასახელებულ წიგნში – „დიდებული მესხეთი“. ანდრიას ვაჟები იყვნენ ლევანი, ლადო და გოგი (გიორგი). ლევანი მუშაობდა ურავლის „ურასტკაში“ მდივნად. სწორედ აქ გაიცნო ალექსანდრე ფრონელმა იგი და მისგან ჩაიწერა ჯვარიძეებისა და მესხების თავგადა-

სავალი თურქების უღელქვეშ გატარებული იმ საზარელი წლების შესახებ, რაც მესხებმა გადაიტანეს. ლევანის მეუღლე იყო ნატო სანდაძე, რომელიც ასევე დიდად განათლებული ადამიანი ყოფილა. მან დაწერა საინტერესო მემორუაზი და მნიშვნელოვანი ისტორია შემოუნახა შთამომავლობას. აღნიშნული მასალა მთლიანად დაიბეჭდა გაზეთ „ლიტერატურულ მესხეთში“, რომელმაც დიდი გამოხმაურება ჰპოვა საზოგადოებაში. ფაქტობრივად ეს ნაშრომი აცოცხლებს მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ახალციხე-ასპინძის ისტორიას, მხარის ადათ-წესებს, საგანმანათლებლო ცხოვრებას, ფოლკლორს, ურთიერთობებს მაჰმადიან მესხებთან და ად-

მის ვაჟს შიო ერქვა, ხოლო შვილიშვილებს – პავლე და ბასილი.

ალექსის მეუღლე შვილი იყო ბესო, რომლის შვილებს ერქვათ ალექსი და ლადო.

ალექსის მეხუთე შვილი იყო მოსე, ხოლო მის შვილებს ერქვათ ევგენი, სერგო და კირილე. ევგენის სოფელში მოჩუბრის სახელით იცნობდნენ და ინსარიძეებისა და ბადალიენთ ფიზიკურ დაპირისპირებაში მის მონაწილეობას გადამწყვეტი როლი უთამაშია, ინსარიძეებს შემდეგ მისთვის უჩივლიათ, რის გამოც ბადალიენთ პაპა იძულებული გახდადარა ქრთამი მიეცა მოსამართლისათვის, რომ ევგენი არ დაესაჯათ.

სერგოს შვილები ბაგრატი, ნიკო და გივი ძალიან განათლებული ადამიანები იყვნენ. ნიკო ჯვარიძეს ლენინგრადის ბლოკად ჰქონდა გამოვლილი, რამდენჯერმე დაჭრილა კიდეც, ამასთან, გამოჩენილი სიმამაცისათვის მრავალი ჯილდოც მიუღია. ასევე ბაგრატიც იბრძოდა კავკასიის ფრონტზე, გენერალ ლესელიძის არმიამი და ისიც მრავალი ჯილდოს მფლობელი, კარგი მოსაუბრე და მოქიფე კაცი ყოფილა. გივი სერგოს ძე ჯვარიზეს კი მათემატისკის მასწავლებლად დიდხანს უმუშავია, ყოფილა დიდად განათლებული პიროვნება. კომუნისტების პერიოდში მის მიერ მომზადებული წებისმიერი მოსწავლე ხდებოდა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი.

ალექსის მეექვსე შვილს სტეფანე რქმეგია, ხოლო მის შვილებს – სანდრო, გიორგი და თევდორე.

პავლე (ბადალა) ჯვარიძეს ჰყოლია ვაჟი ვასილი, პეტრე და სპირიდონი, ვასილის შვილები იყვნენ იორდანე, მისა და ლუკა. მისა ჯვარიძე ძალიან განათლებული კაცი იყო, ზეპირად იცოდა „ვეფხისტყაოსანი“, მისგანაა ჩანერული ცნობილი მესხური სიმღერები „მამლი მუხასა“ და „ღვთის საგალობელი“, რომლითაც ღმერთს გვალვის დროს წვიმის მოსვლას სთხოვდნენ. გადმოცემით, სამი ახალგაზრდა ქალი ჩადგებოდა ქვის ავაზებში ერთმანეთის ზურგით მდგარი და ხელებაპყრობილი მღეროდნენ საგალობლებს. ალბათ, აღნიშნული სიმღერის ტონისა და რიტუალის შესაბამისად შეიქმნა ცეკვა „სამაია“, ასევე მისგან ჩაიწერეს „მესხური მრავაჟამიერი“, „მესხური შვეველი“, „სუფრული“ და „ყიფილის სტუმრობა“. დღეს ეს სიმღერები ძალიან პოპულარულია არამარტო მესხეთში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. მისმა შვილმა არჩილ ჯვარიძემ ასევე ზეპირად იცოდა „ვეფხისტყაოსანი“, იგი შეტანილია საქართველოს რადიოს ოქროს ფონდში და ხშირად გადაიცემოდა კიდეც. ასევე უნდა ითქვას, რომ იგი ყოველთვის „შოთაობაზე“ ითვლებოდა საპატიო სტუმრად და ზეპირად ყვებოდა ნაწყვეტებს „ვეფხისტყაოსნიდან“.


ამ ეტაპისთვის აქ მინდა დავამთავრო და შემდეგ შემოგთავაზოთ საინტერესო მასალები ბადალიენთ შესახებ. თუმცა არ შეიძლება აქვე არ შევეხო შედგავო გივი ჯვარიძის მიერ შედგენილ გენეოლოგიურ რუკას, რომელიც ადასტურებს, რომ ხიზა და ხვარამზე გადმოსულები არიან არტაანის მხრიდან, ხოლო ზევილში მცხოვრებ მჭედლიენთ/მჭედლიძეებს თვლის ხიზას მის შვილებად, ეს არასწორია და, თავისთავად, შეუსაბამო. ხიზა თუ არტაანიდან გადმოვიდა, დასახლდა ახაშენში და შემდეგ ზევილში ამოსახლდა, იქ მჭედლიენი როგორღა დახვდებოდნენ?!

ბიორგი ჯვარიძე

გაგრძელება იქნება.

ღმერთმა კიდევ ბევრი შეგაძლებინოთ!

პოლოს ტონაკანინას ასპინძის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა კარგად რომ იცნობს, ალბათ, ამას მტკიცება არ ჭირდება. იგი, როგორც ფოტოგრაფორტიორი, შემოქმედებით ასპარეზზე გამოვიდა მაშინ, როდესაც მზის სინათლე იხილა რაიონულმა გაზეთმა „ასპინძამ“ და მთელი ნახევარი საუკუნე მისი ცხოვრებით იცხოვრა და ასპინძის რაიონის მემატანე იქცა, რადგან მან, როგორც პროფესიონალმა ფოტო-ჟურნალისტმა, ისეთი მდიდარი ფოტო-არქივი შექმნა, რომ მთელ თაობებს ეყოფა.



გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე, პოლოს ტონაკანინის ფოტობიუტეტივმა, რაიონის მასშტაბით, თითქმის ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა აღბეჭდა და ცოცხალი მატანე შექმნა, კერძოდ – უამრავი ცნობილი მწერლის, მსახიობის, ხელოვანისა თუ რესპუბლიკური მნიშვნელობის სახელმწიფო მოხელის სტუმრობა (პეიზაჟები, მნიშვნელოვანი ფაქტების ამსახველი ფოტოების მომზადება და ა.შ.). იგი თავისი ფოტო აპარატით მათ თითოეულ გადასაღებებას, საზოგადოების წინაშე გამოსვლას, პროფესიული სიღინჯით აფიქსირებდა, ამჟამადაც არ ღალატობს თავის საქმეს და საინტერესო ფოტო მატანესაც ქმნის.

ალბათ, ასპინძაში არაა ოჯახი, რომელთა საოჯახო ალბომს არ ამშვენებდეს პოლოს ტონაკანინის მიერ გადაღებული სურათები.

მე, როგორც რაიონული გაზეთის ყოფილ თანამშრომელს, სხვა ჟურნალისტების მსგავსად, იმხანად, არაერთხელ მქონია საშუალება საგაზეთო სტატიისა თუ პუბლიკაციის მომზადებისას, თან გამეყოლა იგი და თავისი მაღალხარისხიანი სურათებით გამემდიდრებინა თითოეული საგაზეთო მასალა. რესპოდენტებთან პოლოს ტონაკანინის გამორჩევა კი ყოველთვის სიხარულს იწ-

ვევდა, რადგან გაზეთის ფურცლებზე მათი სურათების დაბეჭდვა მათთვის სიამოვნების მომგვრელი იყო და ისიც ფართო ფორმებით აფიქსირებდა თითოეულ დეტალს.

გაზეთის რედაქცია, რომ იტყვიან, მართლაც ამაყობდა თავისი პროფესიონალი ფოტორეპორტიორით და ყველგან გვგვამდა მის გაგზავნას.

პოლოს ტონაკანინის ის გამორჩეული ფოტოხელოვანია, რომელმაც მრავალი დიდად განათლებული შექმნა რაიონის მასშტაბით გამართულ ყველა სახალხო დღესასწაულისა, მაგრამ ყველაზე უნიკალური მაინც „შოთაობის“ სახალხო დღესასწაულები ამსახველი სურათების არქივი, რომელიც 1966 წლიდან – პირველი „შოთაობიდან“ მომდინარეობს და ყველა მწერლის, პოეტის, ხელოვანის სახე აქვს აღბეჭდილი სოფელ რუსთავსა თუ ვარძიაში, ეს კი დიდი განძია რაიონის კულტურული ცხოვრებისათვის.

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ერთი დიდად მნიშვნელოვანი ფაქტიც (ეს უიშვიათესი მოვლენაა ქართულ-სომხურ ურთიერთობებში და, ვიტყვი, დიდად მისაბაძი იმ მაღალჩინოსანთათვისაც, რომლებიც სახელმწიფო სტრუქ-

ტურებში ათეული წლებია მუშაობენ და ელემენტარულადაც არ შეუძლიათ სახელმწიფო ენაზე მეტყველება): პოლოს ტონაკანინის წლების მანძილზე, თავისი სურვილით, ხშირად ესწრებოდა ასპინძის საშუალო სკოლის დანყებით კლასებში გაკვეთილებს ყოველგვარი უხერხულობის გარეშე და შესანიშნავად დაუფლდა ქართულ სალიტერატურო ენას, რითაც იმის მაგალითი მოგვცა, რომ სახელმწიფო ენის სწავლა აუცილებელია საქართველოში მცხოვრები ყველა არაქართველისთვის და, მით უფრო, სახელმწიფო მოხელისთვის.

ახლახან პოლოს ტონაკანინს 80 წელი შეუსრულდა. ვინც ჯერ კიდევ კარგად ვერ იცნობს მას, შესაძლოა, არც დაიჯეროს, რომ იგი მართლაც ამ ასაკშია. მას ყოველდღეობა, დამალოდან ასპინძამდე, 15-20 კილომეტრი მანძილის გავლა უწევს და ახალგაზრდული შემართებით ასრულებს თავის მეტად საპატიო საქმეს. მსგავსი რამ კი მხოლოდ პროფესიისადმი ერთგულ ადამიანებს ძალუძთ.

ვულოცავთ პოლოს ტონაკანინს 80 წლის იუბილეს. ღმერთმა კიდევ დიდხანს შეაძლებინოს ხალხის სამსახურს.

სამიანდო ბერიძე

12 აგვისტო – დიდგორობა!

აღსარება



ქართველთა მეფედ მაკურთხეს
ჭაბუკი თექვსმეტ წლისაო,
ქვეყნისა აღმშენებელი,
დამაქცეველი მტრისაო.

არ დავიშურე ძალ-ღონე,
მომადლებული ღვთისაო,
სულ სათითაოდ დავლაშქრე
მჩაგვრელნი ქართველისაო.

ერისთავები მოვიხმე, –
დროშის ქვეშ დავიბარეო,
სამეფოს სიმტკიცისათვის
სიმკაცრე გავატარეო.

მძლავრ სახელმწიფოდ ვაქციე
სამთავროების მხარეო,
ურჩები დავიმორჩილე,
წესრიგი დავამყარეო.

გახსოვთ? ამბავი ომისა,
ომისა დიდგორისაო,
სიცოცხლე იდო სასწორზე
სრულიად ქართველისაო.

მოაწყდა ჯარი ურიცხვი,
მოძულე ქრისტესჯვრისაო,
გზად წაიბიღნა ყოველი
ქართველთა მინა-წყლისაო.

მე დავახვედრე ლაშქარი
ნაფიცი მხედრებისაო,
ბევრად მცირედი ლაშქარით
რისხვა მოუწყე ღვთისაო.

ხმალი ქნევაში გავლიე,
ჯავრი ვიყარე მტრისაო,
სულ დავიბრუნე უკლებლივ
ვალეები დიდი ხნისაო.

ყველას – ყაჩაღს და ავაზაკს,
მარბიელთ ქართველისაო,

გზა დავავიწყე დიდი ხნით
ქართველთა სოფლებისაო.

ხმლით დავუმკვიდრე საზღვრები
ზღვისა და ხმელეთისაო
და საქართველო ავნიე
მწვერვალზე დიდებისაო.

ქართველობისთვის ვიბრძოლე,
სისხლი დავღვარე მტრისაო,
მრავალი ცოდვა ვიტვირთე,
ნაჩეხით ჩემი ხმლისაო.

ქვეყნის მტერი და დუშმანი
არსად არ გავახარეო,
ღმერთმა შემინდოს ყოველი,
თუ რამ შეეცოდე მწარეო.

ეკლესიები ვაშენე
ნატიფად თლილი ქვისაო,
ღმერთი ვადიდე ქართველთა,
არ შევურაცხვეყე სხვისაო.

ძეგლი დამიდგეს თბილისში,
ზეცაში გავიხარეო
და ამისათვის თაობებს
მადლობა დავუბარეო.

კარგა ხანს ვიდექ მეფურად,
მშვენივად თბილისისაო,
ამხედრებული ვხვდებოდი
განთიადს ყოველ ღღისაო.

ვიდექი დამშვიდებული,
სიმბოლოდ დიდებისაო,
სიძლიერის და ერთობის,
გარჯის და შენებისაო.

რისთვის გამწირეს, არ ვიცი,
რად გაახარეს მტერიო,
გადამასახლეს, გამრიყეს,
თავზე მეყრება მტვერიო.

თხოვნით მოგმართავთ ზეციდან,
სრულიად საქართველოსა,
შუღლი დავლუპავთ ქართველნი,
ვიცი, მოგიღებთ ბოლოსა.

გიყვარდეთ დედამამშობლო,
გყავდეთ სალოცავ ხატადა,
ერთურთის შუღლს და მტრობასა
სჯობს რომ გამრავლდეთ ათადა.

ზაურ ჯვარიძე,
73 წლის, სოფელი ჭობარეთი

წარსულის ფურცლები



სამსახურთა აბანო

ასპინძის სამკურნალო აბანო მშენებლობის პროცესში. გასული საუკუნის 50-იანი წლების მიწურული

რუსთაველები ამჟამადაც სწორ გზას ადგანან

სარწყავი წყლის პრობლემა რომ მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა სოფელშია, ეს არცაა გასაკვირი, მაგრამ სოფელი რუსთაველი რომ თითქმის მთლიანად სატუმბ სადგურზეა დამოკიდებული, იგი უფრო ართულებს სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სარწყავი წყლით უზრუნველყოფის სტაბილურობას, თუმცა ადგილობრივი მუნიციპალიტეტისა და ზემდგომი ორგანოების აქტიური მხარდაჭერით, მაინც შესაძლებლობის მაქსიმუმი კეთდება ამ პრობლემის მოგვარებისათვის. კერძოდ, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოები აქტიურ რეჟიმში გრძელდება. ამ დროისთვის, მიუხედავად იმისა, რომ რწყვის სეზონი თითქმის დასასრულს უახლოვდება, მომავალი წლისთვის რუსთაველები საქმეს წინ იგდებენ და აქტიურ ბაზისს ქმნიან – სარწყავი არხების სარეაბილიტაციო სამუშაოებს ამჟამადაც აქტიურად ეწევიან.

2020 წელს, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“, მუნიციპალიტეტის სოფლებში განსახორციელებელი პროექტების შესარჩევად, თითოეულ დასახლებაში საერთო კრებები ჩატარდა და მოსახლეობასთან კონსულტაციების შედეგად გამოვლინდა პრიორიტეტები, რუსთაველებმა კი უპირველესად ეს მიმართულება აირჩიეს, რაც სოფლის ეკონომიკის გაჯანსაღებისთვის უმნიშვნელოვანესია.

ტოლოშის სკოლაში შესაბამისი სამზადისია

სულ მალე ახალი სასწავლო წელი დაიწყება. ალბათ, სასკოლო ცხოვრებას არ ახსოვს ისეთი სასწავლო წელი, როგორც წლებიანდელი წელი იყო, თუმცა ჯერ კიდევ არ ვართ დაზღვეულები, როგორ წარმართება მომავალი სასწავლო წელი, მაგრამ ერთი კი ცხადია, შესაბამისი სამზადისი ახალი სასწავლო წლისთვის მაინც ყველგან აქტიურად მიმდინარეობს.

ამ მხრივ არც ტოლოშის საჯარო სკოლაშია გამონაკლისი და აქაც სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სკოლის დერეფნისა და ლობის სარეაბილიტაციო სამუშაოები. აღნიშნულ სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია „ალმე“ აწარმოებს, რომლის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 37 390 ლარს შეადგენს.



ქუჩები იცვლიან სახეს



დღითიდღე იზრდება დაბაში მოასფალტებული-მონესრიგებული ქუჩებისა თუ ჩიხების რაოდენობა. როგორც იტყვიან, თითზე ჩამოსათვლელია დარჩა დაბაში ადგილები, რომ არ განხორციელებულიყო ინფრასტრუქტურული პროექტები და, როგორც ადგილობრივი ხელისუფალნი გვპირდებიან, სულ მალე ყველა ქუჩა შეიცვლის იერსახეს და სრულიად მოიხსნება ქუჩების მოასფალტების პრობლემა.

ამჟამად დაბაში მიმდინარეობს ვარძიის ქუჩაზე ჩიხების სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლებიც რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით ფინანსდება.

სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია „საგზაო სამშენებლო სამმართველო N2“ აწარმოებს.

ინფორმაციები მოგვაწოდა ასპინძის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო განყოფილების უფროსმა ეკა კალაიჯიშვილმა

რედკოლეგია